

# ბავშვებო, ხეები არ უნდა გავჩეხოთ!

იმ ადგილებში, სადაც ხეები არ არის, ქარი უფრო ძლიერია.



1

Humanitarian Aid and Civil Protection

ASB Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children

**განმარტება აღმზრდელისთვის:** ქარი წარმოიქმნება დედამიწის ზედაპირის არა-თანაბარი გათბობით. რაც უფრო მეტია ადგილებს შორის ტემპერატურული ან ატმოსფერული წნევის სხვაობა, მით უფრო ძლიერია ქარი.

აუხსენით ბავშვებს ხეების მნიშვნელობა და ასწავლეთ ნარგავების მოფრთხილება.



თუ ძალიან ჩამოცხა და ჰაერი ჩაიხუთა, უნდა მიხვდეთ, რომ მალე ძლიერი ქარი ამოვარდება.



2

Humanitarian Aid and Civil Protection

ASB Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children

განმარტება აღმზრდელისთვის: ატმოსფერული წნევის მკვეთრი დაცემა და შედეგად წარმოქმნილი ჩახუთულობა წარმოადგენს ძლიერი ქარის ერთ-ერთ ნიშანს.



ბავშვებო, ქარის დროს
ცას დააკვირდით. იქ თუ
შავ ღრუბელს შენიშნავთ,
ეს იმას ნიშნავს, რომ ქარი
კიდევ უფრო გაძლიერდება.



3

Humanitarian Aid
and Civil Protection

ASB
Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children



ძლიერი ქარის დროს, რომ არ
დავზიანდეთ, მჭიდროდ უნდა დავხუროთ
კარ-ფანჯარა და მოვშორდეთ მათ. მეტი
უსაფრთხოებისთვის კი, უფროსებთან
ერთად თავი შევაფაროთ აბაზანას,
საკუჭნაოს, მაგიდას და ა.შ.
თბილი პლედი მოვიხუროთ და მშვიდად
დაველოდოთ ქარის ჩადგომას.



4

Humanitarian Aid and Civil Protection

Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children



ძლიერი ქარის დროს უფროსებმა
უნდა ჩააქრონ ცეცხლი ღუმელში,
გამორთონ ელექტროენერგია,
დაკეტონ გაზის ვენტილი. ჩართონ
რადიომიმღები და ყურადღებით
მოუსმინონ ინფორმაციას.



5

Humanitarian Aid and Civil Protection

ASB Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children



## თუ თქვენ ქუჩაში ხართ და ძლიერ ქარში მოხვდით, რომ არ დაზიანდეთ:

- არ გაჩერდეთ ნაგებობის, შენობის, ხიდის, ელექტროგადამცემი ხაზების, ანძის, ხის, მდინარის და ტბის მახლობლად.

- სახე დაიცავით ცხვირსახოცით, ქსოვილით, ნაჭრით, ხოლო თვალები სათვალით.

- არ შეხვიდეთ დაზიანებულ შენობაში, ვინაიდან შესაძლებელია მისი ჩამონგრევა ქარის ზემოქმედების შედეგად.



6

Humanitarian Aid and Civil Protection

Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children



თუ ძლიერი ქარის დროს მანქანაში იმყოფებით, უსაფრთხოების მიზნით სასწრაფოდ დატოვეთ მანქანა, გადაინაცვლეთ ღია ადგილას და თავი შეაფარეთ ორმოს, თხრილს, ვიწრო ხევს, მიწასთან მჭიდრო მიკვრით, თავი დაიფარეთ ტანსაცმლით ან ხის ტოტებით.



7

Humanitarian Aid and Civil Protection
Arbeiter-Samariter-Bund
Save the Children

განმარტება აღმზრდელისთვის: ძლიერი ქარის დროს მანქანის დატოვება და მიწაზე დაწოლა ზრდის შეხებისა და მოჭიდების ფართობს და შესაბამისად, უფრო დაცული ხართ ძლიერი ქარის დროს.



ბავშვებო, თუ თქვენ საცხოვრებელ ადგილას ხშირია ძლიერი ქარები, იმისთვის, რომ არ დაზიანდეთ, დაეხმარეთ მშობლებს მოაცილონ ხეებს გამხმარი ტოტები.



8

Humanitarian Aid and Civil Protection
ASB Arbeiter-Samariter-Bund
Save the Children
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო



თუ თქვენი საცხოვრებელი
ადგილისთვის დამახასიათებელია
ძლიერი ქარები, დაზიანების
თავიდან ასაცილებლად
სასურველია, უფროსებმა
დამატებით გაამაგრონ სახლის
სახურავი და ბილბორდები.



9

Humanitarian Aid
and Civil Protection

Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children



# და კიდევ ერთხელ ბავშვებო!



10

## დავრგოთ ბევრი ხე, რომ თავი დავიცვათ ძლიერი ქარისგან.

Humanitarian Aid and Civil Protection

Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children

**შენიშვნა აღმზრდელისთვის: დარგეთ ბავშვებთან ერთად ხეები და ასწავლეთ მათი მოვლა!**